



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუკბანიანი ომარ ვასილის ძე



ო. მუკბანიანი

მუკბანიანი ომარ ვასილის ძე (07. IV. 1948, თბილისი, – 18. I. 2022, იქვე), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტი (1971). მუშაობდა იქვე ქიმიის ფაკ-ტის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის მეცნიერ თანამშრომლად (1972-73). მივლინებული იყო მოსკოვში ნესმეანოვის სახ. სსრკ მეცნ. აკადემიის ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის სამეცნ. კვლევითი ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად (1973-76). იყო თსუ-ის მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1977-85), ამავე კათედრის დოცენტი (1986-93), პროფესორი (1994-დან), კათედრის გამგე (2000-22), თსუ-ის სოხუმის ფილიალის, საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის ორგ. ქიმიის კათედრის გამგე (1997-2006), ამავე კათედრასთან არსებული „ჰეტეროჯაჭვური პოლიმერებისა და პოლიმერული კომპოზიციების სამეცნ.-საკვლევო ლაბორატორიის“ სამეცნ. ხელმძღვ. (2002-06), მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების ინ-ტის დირექტორი (2009-22). საქართვე. ქიმიური საზ-ბის წევრი, ნიუ იორკის მეცნ. აკადემიის წევრი (1995).

მ. იკვლევდა ქიმიური რეაქციების კინეტიკასა და მექანიზმებს, სამრეწვ. პოლიმერების მოდიფიკაციას, პოლიმერული კომპოზ. მასალებისათვის საქართვე. მინერ. ნედლეულის გამოყენებას, მათ ბაზაზე ახალი დენგამტარი კომპოზიციების მიღებასა და ტექნიკაში დანერგვას; ჩატარებული აქვს გამოკვლევების ფართო სპექტრი სავარცხლისებური აგებულების სილიციუმორგანული პოლიმერებისა და ბლოკთანაპოლიმერების სინთეზის

მიმართულებით. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

ენეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. წლების განმავლობაში იყო საერთაშ. და სამამულო სამეცნ. ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, მონაწილეობდა საერთაშ. კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში.

მიღებული აქვს საქართვე. მეცნ. აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. პრემია „საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის“ (1983; ავტორთა კოლექტივთან ერთად) და ღირსების ორდენი (2003).

ლიტ: მ უ კ ბ ა ნ ი ა ნ ი , ო. (თანაავტორი), *პოლიმერული მასალები*, (ორ ტომად) თბ., 2015; M u k b a n i a n i , O. (თანაავტ., Aneli, J., Tatrishvili, T., Markarashvili, E.), *Wood Polymer Composite Based on a Styrene and Triethoxy (Vinylphenethyl) Silane*. Chemistry & Chemical Technology 17(1), 2023.

პ. მამრადე
